ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4254906

ნომერი: AR1638023

თარიღი : 18.10.2018

გაცემის თარიღი : 08.11.2018

გაცნობის თარიღი : 11.11.2018

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გზატკეცილი კახეთი , გზატკეცილი N 8;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი ცისკაძე პ/ნ 01003006816
- საქართველო, ქ. თბილისი, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონი, თევდორე მღვდელი ქ., №53

ორგანიზაცია:

- შპს ლუქსი პროვაიდერი კოდი: 206311427

ნომენკლატურა :

- I კლასი
- ფანჩატური
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ:
ვინაიდან უშუალოდ საპროექტო ტერიტორიაზე გადის ხაზოვანი ნაგებობა ს/კ # 01.00.087 გარე განათების თვითმზიდი იზოლირებული სადენი, წარმოადგინეთ შესაბამისი მესაკუთრის, სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მიერ გაცემული თანხმობა შენობა-ნაგებობის მშენებლობასთან დაკავშირებით. თქვენს მიერ წარმოდგენილია შპს თბილსერვისის წერილი რომლის საკუთრებასაც არ წარმოადგენს აღნიშნული ხაზოვანი ნაგებობა, საჭიროა წარმოადგინოთ სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მიერ გაცემული თანხმობა.
აქვე გაითვალისწინეთ, რომ სამსახურის მიერ მითითებული ხარვეზების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში წინამდებარე განცხადება დარჩება განუხილველი. თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში არ წარმოადგენთ შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.